საქართველოს სახალხო დამცველი

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა საქართველოში

2013 წელი

წინასიტყვაობა

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა. 65 წლის წინ, 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია „ყველა ხალხისა და ყველა ერის საერთო მონაპოვრად" გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ ეტაპზე, დეკლარაცია სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად არ ითვლებოდა, დღეს ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები ერთსულოვნად თანხმდებიან, რომ მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის მიღწევა წარმოუდგენელია ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და მისი ძირითადი უფლებების პატივისცემის გარეშე.

წინამდებარე ანგარიში 2013 წლის განმავლობაში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მიღწევებსა და გამოწვევებს აფასებს. აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივას, ყოველი წლის 10 დეკემბერს შეაჯამოს ძირითადი წარმატებები, რომელსაც საქართველოს სახელმწიფომ მიაღწია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის კუთხით და ასევე, დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნოს ის პრობლემები, რომელთა აღმოფხვრის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა საქართველოში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სულისკვეთების რეალიზება.

1. შესავალი

2013 წლის 30 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე. გასული წლების დადგენილებებისგან განსხვავებით, როდესაც პარლამენტი, როგორც წესი, „ცნობად იღებდა" სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებებს, მიმდინარე წელს, საკანონმდებლო ორგანომ გაიზიარა ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და შესაბამის სახელმწიფო უწყებებს კონკრეტული ღონისძიებების გატარება დაავალა. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება პარლამენტის დადგენილებას და იმედს იტოვებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი უზრუნველყოფს ეფექტურ მონიტორინგს ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესრულებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაზე.

ზოგადად, 2012 წლის მღელვარე მოვლენების შემდეგ, რომელიც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებით დამთავრდა, 2013 წელი ნაკლები დრამატულობით გამოირჩეოდა. საპარლამენტო არჩევნების წინ შექმნილ უკიდურესად დაძაბულ წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით, საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდ და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ჩატარდა. მართალია, მთელი წლის განმავლობაში საზოგადოება ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის მტკივნეული პოლიტიკური თანაარსებობის მოწმე იყო, მაგრამ ამ დაძაბულობას ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგად მდგომარეობაზე ფუნდამენტური გავლენა არ მოუხდენია – თუ არ ჩავთვლით იმ საგანგაშო ტენდენციას, რასაც ადგილი ჰქონდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან საჯარო მოსამსახურეთა მასობრივი გათავისუფლების სახით. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის სექტემბერში პენიტენციალურ დაწესებულებებში არსებული წამებისა და არაადამიანური

მოპყრობის კადრების გავრცელების შემდეგ, მთელი საზოგადოების ყურადღება პატიმართა უფლებების დაცვაზე იყო კონცენტრირებული, პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოვლენილი პოლიტიკური ნებისა და გატარებული რეფორმების წყალობით, აღნიშნულმა გამოწვევამ მეორე პლანზე გადაიწია. მიმდინარე წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება შეფასდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის საგანს. თუმცა, მეორე მხრივ, მთელი სიმწვავით წამოიწია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობის აქტიური გამოვლენის პრობლემამ, რასაც ცალკეულ შემთხვევებში, ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია. კიდევ ერთი საგანგაშო ტენდენცია, რაც მიმდინარე წლის განმავლობაში გამოაშკარავდა, გასულ წლებში ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ სფეროში სახელმწიფოს არამართლზომიერ ჩარევას უკავშირდებოდა. საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილების გარეშე, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, ფაქტობრივად, შეუზღუდავ უფლებამოსილებას აძლევს ადამიანთა კერძო ცხოვრების კონტროლის თვალსაზრისით, აღნიშნული პრობლემის დარეგულირება ნაკლებად სავარაუდოა. საქართველოს სახალხო დამცველისთვის პრობლემურ საკითხთა შორის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გარდა, ასევე, ცენტრალური ადგილი უჭირავს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფლებას საცხოვრისზე, რისი რეალიზებაც კვლავ შეუსრულებელ ამოცანად რჩება სახელმწიფოს მხრიდან სათანადო პოლიტიკის არარსებობის პირობებში.

წინამდებარე დოკუმენტში ცალკე არ არის წარმოდგენილი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი, ვინაიდან, მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული საქმეების დეტალური შესწავლა. შესწავლის შედეგები ასახული იქნება საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

მომდევნო თავებში საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში არსებულ ძირითად გამოწვევებს, თუმცა, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პრობლემების ნუმერაცია მათ პრიორიტეტულობაზე ან ნაკლებ მნიშვნელობაზე არ მეტყველებს. წინამდებარე დოკუმენტს არ აქვს ყოვლისმომცველობის ამბიცია და იმ ტენდენციებს და თემებს, რომლებიც შესწავლის ეტაპზეა, ყურადღება დაეთმობა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში.

2. სისხლის სამართლის პოლიტიკა

2013 წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მკაცრი სისხლისსამართლებრივი, ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა უფრო ლიბერალური მიდგომებით ჩანაცვლდა, რაც ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით დადებითად უნდა შეფასდეს. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება არაპროპორციულად მაღალი და მკაცრი სასჯელების თავიდან ასაცილებლად, დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა შთანთქმის პრინციპის აღდგენას სისხლის სამართლის კოდექსში.

მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რამდენიმე რეკომენდაცია, ასევე, საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი პრობლემური საკითხები პრეიუდიციის, ყადაღის შესახებ განჩინების გასაჩივრების და საპროცესო კონფისკაციისას სასამართლოს როლის შემოტანის შესახებ, რაც მისასალმებელია.

სისხლის სამართალწარმოებისას, მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს დაცვის მხარისთვის ჩხრეკისა და ამოღების უფლებამოსილების მინიჭება, თუმცა, სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ გადავადდა ამ უკანასკნელი ცვლილების ამოქმედების საკითხი.

2013 წელს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აღდგა საერთო სასამართლოებში ფოტო, ვიდეო და აუდიო გადაღების შესაძლებლობა. კანონმდებლობით განისაზღვრა სასამართლოს ვალდებულება, განახორციელოს პროცესების ჩაწერა და ამავდროულად, განისაზღვრა იმ სუბიექტთა წრეც, რომელთაც შეუძლიათ გადაღება და პროცესის მსვლელობის ფიქსაცია. სახალხო დამცველის მოსაზრებით, ამ ცვლილებას გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლია, მნიშვნელოვნად აამაღლოს საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური ნაბიჯებისა, საქართველოს პარლამენტმა ძალაში დატოვა მოწმეთა დაკითხვის დროებითი წესი, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების ერთ-ერთ მთავარ დადებით მხარედ სწორედ მოწმეთა სასამართლოში დაკითხვა ითვლებოდა. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიზიარა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ახალი რეგულირების ამოქმედების გადავადების შესახებ.

3. სამართალდამცავების მხრიდან განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტები

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა პირმა მიმართა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისა თუ უფლებამოსილების გადამეტების სხვა ფაქტებთან დაკავშირებით. სამართალდამცავი ორ-

განოების თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებათა გახშირების გამო, 2013 წლის 29 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს მთავარ პროკურორს. საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა, როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარება სამართალდამცავების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, ისე, მათ მიერ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე სწრაფი რეაგირება და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

2013 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემური რჩებოდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი. ერთი წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ამ კუთხით არსებობს როგორც საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე, კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემა. ერთ-ერთ ასეთ საკითხად რჩება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციისა და სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კომპეტენცია და უფლებამოსილებები.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტების ეფექტური გამოძიებისათვის მნიშვნელოვანია, გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა და შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც მსგავსი შემთხვევების დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გამოძიებას უზრუნველყოფს.

4. ტენდენციები აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების ჭრილში

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ 2013 წელს მკვეთრად შეიცვალა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ხშირი გამოყენების ტენდენცია. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სასამართლოები მიმდინარე წლის განმავლობაში უფრო აქტიურად იყენებდნენ არასაპატიმრო ხასიათის აღკვეთის ღონისძიებებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემების მიხედვით, 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება შემცირდა 18 პროცენტით. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლომ ბრალდებულების მიმართ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ მიიჩნევს, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოს განჩინებები ხშირ შემთხვევაში არ არის სათანადოდ დასაბუთებული, განსაკუთრებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას.

5. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ადამიანის უფლებები

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რამდენიმე განცხადება შემოვიდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესახებ.

რამდენიმე განმცხადებელი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში. მათი განცხადებით, ფარული კონფიდენტის პროცესში მონაწილეობით ირღვეოდა განმცხადებლების სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. რამდენიმე შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველს მოუწია „სასამართლო მეგობრის“ (Amicus Curiae) მოსაზრების წარდგენა საქართველოს საერთო სასამართლოების წინაშე, რათა ამ პროცესში სამართალშეფარდება წარმართულიყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სამართალწარმოების პრაქტიკის შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი მრავალ ხარვეზიან დებულებას შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის რამდენიმე დებულება არაკონსტიტუციურად გამოაცხადა, კანონში არაერთი ბუნდოვანი რეგულირება რჩება. პრობლემურ დებულებათა შორის აღსანიშნავია მტკიცების სტანდარტის არარსებობა იმ საქმეებზე, რომლებიც საჭიროებენ მოსამართლის თანხმობას. შესაბამისად, იმ შუამდგომლობების უმრავლესობა, რომლებსაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სასამართლოებში წარადგენენ, კმაყოფილდება. კრიტიკას ვერ უძლებს გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების კანონიერების შემოწმებაც, რადგან ამ შემთხვევაშიც მრავალი გადაწყვეტილება მოკლებულია ჯეროვან დასაბუთებას.

დღეს არსებული კანონმდებლობა, ასევე, არ განსაზღვრავს მკაფიო ვადებს, რომლის ფარგლებშიც ხდება პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების პროცესში. ამავდროულად, არ არის განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვის და განადგურების რეგულირებები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან; ასევე, არ არის განსაზღვრული ის პროცედურა, რომლის მიხედვითაც პირს შესაძლებლობა ექნება მოითხოვოს უკანონო ფარული მიყურადების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, დღეს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების უფლების ჯეროვან დაცვას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება იმ გარემოებას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან 2013 წელს პირველად მოხდა მოქალაქეებზე უკანონო თვალთვალის აღიარება. ამასთან, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა „უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია", რომელშიც წევრის სტატუსით მიწვეულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველი. კომისიის მუშაობის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად მოხდა 110 ფაილამდე ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერის განადგურება.

მიუხედავად იმისა, რომ მივესალმებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცდელობას, განადგურდეს ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი, უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერები, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ერთჯერადი აქცია ვერ უზრუნველყოფს ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობას მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნის გარეშე.

6. პატიმრობის პირობები

ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტიის და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებულ პირთა რაოდენობა, რამაც აღმოფხვრა ციხეების გადატვირთულობის პრობლემა და გააუმჯობესა პატიმართა მდგომარეობა. 2013 წლის განმავლობაში პენიტენციალურ დაწესებულებებში არ დაფიქსირებულა წამების, არაადამიანური და ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები და ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდა სისტემაში პატიმართა გარდაცვალების მაჩვენებელიც.

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს სახალხო დამცველისთვის საგანგაშო იყო პატიმარ ლ.კ.-ს და გ.ძ.-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები, როდესაც ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური დაცვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოყოს რამდენიმე საკითხი, რომელიც მონიტორინგის შედეგებისა და დეპარტამენტში შემოსული განცხადებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, მათ შორის: სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ე.წ. „მაყურებლების" როლის გაძლიერება; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პირების ჯანმრთელობის დაცვა და მათი სამედიცინო შემოწმების ეფექტური ფორმები; დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ჩანაწერების წიგნებში შემოყვანილ პირთა დაზიანებების შესახებ ინფორმაციის უზუსტობა; დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ჩანაწერების წიგნებში დაკავებული პირების შესახებ დაკავების დროის, თარიღის და ვითარების შესახებ ინფორმაციის უზუსტობა და სხვა.

პატიმართა უფლებრივ მდგომარეობასთან კავშირში, საქართველოს სახალხო დამცველი არასაკმარისად მიიჩნევს ხელისუფლების მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გამოვლენილი წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების გამჭვირვალობასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, უფლებათა დარღვევის მასშტაბებიდან გამომდინარე, შეუსაბამოდ მწირია ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის ამ ეტაპზე მიწოდებული ინფორმაცია წამებისა და არაადამიანური მოპყრობისათვის მსჯავრდებულ ერთეულ პირთა შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველი გაუმართლებლად მიიჩნევს წამებაში, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული პირებისთვის ზედმეტად ლმობიერი სასჯელების შეფარდებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით საგანგაშო იყო მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, წამებაში ბრალდებული ერთ-ერთი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლება.

საქართველოს სახალხო დამცველი, ასევე, არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს ფართომასშტაბიანი ამნისტიის შემდეგ ხელისუფლების მერ გადადგმულ ნაბიჯებს „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივი წესით დევნილ პირებთან" დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა 2012 წლის 28 დეკემბერს განხორციელებულ ამნისტიას, თუმცა განაცხადა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეუძლებელია შემოიფარგლოს ამნისტიის ერთჯერადი აქტის განხორციელებით. ამნისტია სამართლიანობის აღდგენის პროცესის მხოლოდ ერთ ეტაპს შეიძლება წარმოადგენდეს, რომლითაც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უსამართლოდ მიცემული პირების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და სამართლიანობის აღდგენის დაწყება მოხდა. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კატეგორიის პირთა სრული სამართლებრივი რეაბილიტაციისათვის მნიშვნელოვანია, გონივრულ ვადაში შეიქმნას ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ღირსებისა და რეპუტაციის აღდგენა, არამედ, სახელმწიფოსგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სამართლიანი ანაზღაურება.

7. კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის მექანიზმი

2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა მსჯავრდებულმა/ყოფილმა მსჯავრდებულმა მიმართა, რომლებიც თავს უკანონო პატიმრებად მიიჩნევენ. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამომწურავად ადგენს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გასაჩივრებისა და გადასინჯვის საფუძვლებს, საქართველოს სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია უმოკლეს ვადაში შეიქმნას მექანიზმი, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში

შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას შექმნის.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2013 წლის 29 იანვარს მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, წარმოედგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის პოზიცია მოქალაქეების იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება სისხლის სამართლის საქმეების გადახედვას. 2013 წლის 5 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ N14439 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე, რომლითაც შეიქმნება სისხლის სამართლის საქმეებზე დამდგარი განაჩენების გადახედვის მექანიზმი.

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად იყო ჩართული მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვაში, თუმცა, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით დასკვნის მიღების შემდეგ, პროცესები საქართველოს სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, საზოგადოებაში შექმნილი ლეგიტიმური მოლოდინის მიუხედავად, იუსტიციის მინისტრის განცხადებით, მოცემულ ეტაპზე მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა შეჩერდა.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ამა თუ იმ პირისათვის დარღვეული უფლებების სრულად აღდგენის შესაძლებლობას, მათ შორის ქონების რესტიტუციას და მორალური ზიანის ანაზღაურებას უკანონო მსჯავრდებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა არ შეცვლის გამოთქმულ პოზიციას მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი მექანიზმის შექმნის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი იტოვებს საქართველოს ორგანული კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებას, თავად მიმართოს პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებით.

8. საკუთრების უფლება

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რეკომენდაციის საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს. ცვლილების მიხედვით, პირს, რომლის ქონებასაც სასამართლოს განჩინებით შესაძლოა ყადაღა დაედოს, ამ განჩინების გასაჩივრების უფლება მიენიჭა.

თუმცა, სახალხო დამცველის განსაკუთრებული შეშფოთების საგანია ის, რომ დღემდე არ მომხდარა იმ პირთა უფლებების აღდგენა, რომელთაც გასული წლების განმავლობაში მასიურად შეეზღუდათ საკუთრების უფლება.

გარდა ამისა, 2013 წელს შემოსული განცხადება/საჩივრების განხილვის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეებში საპროცესო მოქმედებების გამოყენებისას, საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის არაერთი ფაქტი, მათ შორის: საგამოძიებო ორგანოების მიერ ქონების დაყადაღება; საგამოძიებო მოქმედების – ამოღების დაუსაბუთებლად განხორციელება და სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების – გირაოს გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების აღუსრულებლობა (გირაოს თანხის დაბრუნების პროცესის გაჭიანურება).

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა და მოამზადა რეკომენდაცია სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების დაყადაღება მოხდა ისე, რომ ბრალდებულად არავინ ყოფილა ცნობილი – შესაბამისად, არ არსებობდა მისი (ბრალდებულის) მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი ან/და მასთან დაკავშირებული პირი. აღნიშნული კი სავალდებულო პირობაა იმისთვის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საბანკო ანგარიშების დაყადაღება განხორციელდეს. მსგავსი მიდგომა, სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებულია სისხლის სამართალწარმოებისას, რაც იძლევა ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშების დაყადაღების არასწორი და სახიფათო პრაქტიკის დანერგვის საშუალებას და რაც თითოეული მოქალაქის საკუთრების უფლებას გაუმართლებელი საფრთხის წინაშე აყენებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე ნ.გ-ს საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო განჩინება ნ.გ.-ს საკუთრებაში არსებული ავტომანქანის ამოღების შესახებ, რომ არ გამოიკვლია საკითხები, რომლის გამოკვლევაც კანონისმიერად ევალებოდა. აღნიშნული საქმის მსგავსად, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ბუნდოვანია, რა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა მოსამართლის დასკვნა ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლიანობის შესახებ. მსგავსი პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ არღვევს სამართლიანი სასამართლოს ერთ–ერთ ფუნდამენტურ, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას, ასევე, გაუმართლებლად ზღუდავს საკუთრების უფლებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ასევე, სწავლობს საქმეს, რომელიც შეეხება სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების – გირაოს გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას (გირაოს თანხის დაბრუნების პროცესის გაჭიანურებას). მიუხედავად იმისა, რომ თ.ე-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება გირაოს სახით სასამართლოს გადაწყვეტილებით

გაუქმდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ადგილი აქვს კონკრეტული პირისთვის გირაოს თანხის – 6 000 000 ლარის დაბრუნების პროცესის გაჭიანურებას.

9. შეკრება-მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლება

2013 წლის განმავლობაში გამართული აქციების უმეტესობა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობების წინააღმდეგ გამართულ აქციებს წარმოადგენდა, რომელთა უმრავლესობა ექსცესების გარეშე ჩატარდა, თუმცა, იყო გამონაკლისებიც. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლების უზრუნველყოფა უმოქმედობის ან/და არასათანადო რეაგირების გამო.

სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდ შეუსრულებელი პოზიტიური ვალდებულების მაგალითია 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, არასამთავრობო ორგანიზაცია "იდენტობის" აქციის დარბევა პარალელური აქციის მონაწილეების მიერ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რამდენიმე დღით ადრე იყო ინფორმირებული, რომ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართებოდა მშვიდობიანი აქცია. ცნობილი იყო, ასევე, ისიც, რომ იმავე ადგილზე დაიგეგმა კონტრ-დემონსტრაციის გამართვა. აქციის დაწყებისთანავე ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია, გაკეთებული იყო კორდონი, თუმცა პოლიციამ ვერ შეძლო მისი შენარჩუნება, რის გამოც აქციის მონაწილეებს არ მიეცათ კონსტიტუციით მინიჭებული შეკრების თავისუფლებით სარგებლობის საშუალება. აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა უსაფრთხოების მიზნით მიკროავტობუსებითა და ავტობუსებით გაიყვანეს.

2013 წლის 20 ივლისს ქ. ზუგდიდში, შ. დადიანის სახელობის თეატრში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრაიმერის ჩატარება დაიგეგმა. პარალელურად, თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა მოქალაქეთა საპროტესტო აქცია. მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ინფორმირებულები იყვნენ საპროტესტო აქციის შესახებ, მათ ვერ უზრუნველყვეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრების მიმართ ფიზიკური ძალადობის აღკვეთა.

საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს 2013 წლის 1 მაისს შრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ასევე, 2013 წლის 7 ივლისს, „კლუბი–თავისუფალი ზონის" მიერ გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლის, აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავების მიერ ძალის გამოყენებისა და დაკავების ფაქტებს. ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევის შესწავლის შედეგები დეტალურად იქნება განხილული საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

10. რელიგიის თავისუფლება

რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან დაკავშირებით პრობლემამ ჯერ კიდევ 2011-2012 წლებში ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხის ირგვლივ საზოგადოებაში წარმოქმნილი უთანხმოებისას იჩინა თავი, ხოლო მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

2012 წლის ნოემბერში სოფელ ნიგვზიანში, მოგვიანებით კი 2013 წლის მაისსა და ივნისში, წინწყაროსა და სამთაწყაროში მაცხოვრებელი მართლმადიდებელი მოსახლეობა აპროტესტებდა მეჩეთის ამოქმედებას სოფელში და მუქარით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, ზოგიერთ შემთხვევაში კი ძალადობით არ აძლევდა მუსლიმ მრევლს შეკრებისა და პარასკევის ტრადიციული ლოცვის ჩატარების შესაძლებლობას. ადგილობრივი მოლას განცხადებით, ადგილი ჰქონდა მის დაშინებას და მუქარას თბილისიდან ჩამოსული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდანაც. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ეტაპზე ნიგვზიანსა და წინწყაროში არსებული პრობლემა ამოიწურა და ამ სოფლებში მუსლიმ მრევლს დაუბრკოლებლად ეძლევა ლოცვის საშუალება, ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია რელიგიური რიტუალისთვის ხელშეშლის არც ერთ ფაქტს.

რელიგიური შეუწყნარებლობის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა 14 აპრილს აჭარის სოფელ ციხისძირში, როდესაც სამხედრო პოლიციის სამმა თანამშრომელმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას. ამ ინციდენტთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნული თანამშრომლები მეორე დღესვე დაითხოვა სამსახურიდან. მიმდინარეობს გამოძიებაც.

საგანგაშო იყო სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟი, რომელშიც სამართალდამცავი ორგანოების დიდი რაოდენობით წარმომადგენელი მონაწილეობდა. მინარეთის დემონტაჟისას სამართალდამცავებსა და ადგილობრივ მუსლიმებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც ადგილობრივმა მოსახლეებმა მიიღეს დაზიანებები, თერთმეტი მუსლიმი დაკავებულ იქნა და რამდენიმე მათგანის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მინარეთის დემონტაჟმა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების საფრთხე შექმნა. კერძოდ, ახალციხის მართლმადიდებელი მოსახლეობის ნაწილმა გზა გადაკეტა, რათა არ დაეშვათ მინარეთის სოფელში დაბრუნება, ხოლო ბათუმში მინარეთის დაბრუნებისა და მუსლიმთა გათავისუფლების მოთხოვნით გაიმართა აქციები. ახალციხეში ჩასული მართლმადიდებე-

ლი ეკლესიის მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა განცხადებით, ისინი არ დაუშვებდნენ მინარეთის ხელახლა აღმართვას. მინარეთის მოჭრასთან დაკავშირებით არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა შეწყდა მუსლიმების წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება და რამდენიმე მუსლიმს ბრალი მოეხსნა. დემონტაჟიდან სამ თვეში კი, 27 ნოემბერს, მინარეთის აღდგენის პროცესი დასრულდა. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება მინარეთის აღდგენას და მოუწოდებს ხელისუფლებას, მსგავსი ადეკვატური ნაბიჯებით უპასუხოს რელიგიური შეუწყნარებლობის ყოველ შესაძლო გამოვლინებას რელიგიური თუ სხვა უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ.

მიმდინარე წლის განმავლობაში გაიზარდა სახალხო დამცველის სახელზე რელიგიის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების რაოდენობა. მიმდინარე წელს სახალხო დამცველმა მთლიანობაში 40 საქმე შეისწავლა, რომელთაგან 33 შემთხვევა იეჰოვას მოწმეებისთვის რელიგიურ საქმიანობაში ხელის შეშლას, ხოლო ნაწილი იეჰოვას მოწმეებზე ორგანიზებულ თავდასხმებს უკავშირდებოდა.

სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება უმრავლეს შემთხვევაში შეწყდა ზიანის მცირე ოდენობის ან დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ალტერნატიული სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მუშაობას იეჰოვას მოწმეთა მიმართვებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის 2013 წლის 1 ოქტომბრის რეკომენდაციის გათვალისწინებით, იეჰოვას მოწმეთა მიმართვები, რომლითაც ითხოვდნენ ალტერნატიული სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებას, დაკმაყოფილდა.

წლის განმავლობაში ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენდა სიძულვილის ენა, რომლის ტირაჟირებასაც კვლავ აქტიურად ახდენს ზოგიერთი მედია-საშუალება. საგანგაშოა, რომ ამ ტიპის გამოცემები, ამავდროულად, ყველაზე რეიტინგული პროდუქციაა მედია ბაზარზე. მეორე მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ე.წ. სიძულვილის გამოხატვაზე რაიმე სახის სახელმწიფო რეგულაციის დაწესებას, რამაც ჯანსაღი საზოგადოებრივი დისკუსიისთვის შეიძლება გამანადგურებელი შედეგი იქონიოს.

11. ეროვნული უმცირესობები

2013 წელს გაგრძელდა და განხორციელდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, ძირითადად, არ შეცვლილა. სახელმწიფო უწყებები სხვადასხვა სფეროში შესაბამის პროგრამებს ახორციელებდნენ.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით პრობლემად რჩება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის საკითხი.

უმცირესობები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, ასევე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მმართველ რგოლში. კვლავ პრობლემატური და აქტუალურია უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთგაუცხოება და ნეგატიური სტერეოტიპების დაძლევის საკითხი.

2009 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის გამარტივდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები საერთო ეროვნული გამოცდების ჩაბარების წესი, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. თუმცა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმის მიუხედავად, ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის ოსურენოვანი ტესტი 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით არ მომზადებულა, რაც, უდავოდ გამოსასწორებელი საკითხია.

პრობლემად რჩება ეთნიკური უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე საჯარო სკოლებისთვის პედაგოგების მომზადების საკითხი. ასევე, სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი პედაგოგების ნაკლებობას განიცდის.

2013 წლიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე უმცირესობათა ენებზე ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამების მომზადება განახლდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ეროვნული უმცირესობების ინფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი ბუნდოვნად არის ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების, რეფორმებისა და სხვადასხვა პროცესის შესახებ.

პრობლემად რჩება მცირერიცხოვანი ეთნოსების მიერ სასკოლო განათლების ფარგლებში მშობლიური ენის შესწავლის საკითხი. განვლილ წლებში არაერთი თხოვნისა და დაპირების მიუხედავად ეს საკითხი კვლავ მოუგვარებელია. შეიძლება ითქვას, ჩვენს თვალწინ ქრება ზოგიერთი მცირერიცხოვანი ეთნო-

სის ენა, მაგალითად, იგივე უდიური ენა, რომელზე მოსაუბრეთა რაოდენობა საქართველოში რამდენიმე ათეულით შემოიფარგლება.

დიდ ქალაქებში მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ ქურთულ, ასურულ და სხვა მცირერიცხოვანი უმცირესობების ენებზე. ეს თემა შესაბამისი უწყებების მხრიდან დროულ ყურადღებას მოითხოვს.

12. შრომის უფლება საჯარო სამსახურში

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა არაერთი განცხადება, რომელიც შეეხებოდა საჯარო მოსამსახურეების საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების საკითხს. როგორც შესწავლის შედეგები ცხადყოფს, უმეტეს შემთხვევებში, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულია სამართლებრივი დასაბუთებისა და საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გარეშე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2012 წლის 1 ნოემბრიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე კონკრეტული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად საჯარო მოხელეთა გათავისუფლების კანონშესაბამისობის საკითხი. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირია დაწესებულების რეორგანიზაციისას, შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების საფუძვლით, საჯარო მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან დასაბუთების გარეშე გათავისუფლების ფაქტები, რაც ცალსახად იწვევს საჯარო მოხელეთა შრომის უფლების ხელყოფას. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ერთი ან ორი თვის ინტერვალში საკუთარი ინიციატივით თანამდებობები დატოვა რამდენიმე ათეულმა საჯარო მოხელემ. მოცემული ფაქტები ადასტურებს, რომ საჯარო სამსახურებში არსებული საგანგაშო ტენდენცია, რაც გულისხმობს საჯარო მოსამსახურეების იძულებას „საკუთარი ინიციატივით“ დაწერონ წერილობითი განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ, კვლავ მოქმედებს.

საქართველოს სახალხო დამცველი შრომის უფლებების დაცვის კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს, რამაც საქართველოს შრომის კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან დააახლოვა და შრომის უფლების რეალიზაციის უფრო ეფექტური შესაძლებლობები შექმნა. მიუხედავად ზემოხსენებულისა, საერთაშორისო კონვენციებთან და ევროპის სოციალურ ქარტიასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, გაგრძელდეს შრომის კოდექსის შემდგომი ეტაპობრივი მოდიფიკაცია.

13. შრომის უსაფრთხოება

საქართველოში სახელმწიფო დონეზე არ არის შემუშავებული შრომის, ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა და შესაბამისად, არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად არის დაცული სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაშავებულთა რაოდენობა იყო 102, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა – 42. 2011 წელს დაშავებულთა რაოდენობაა 137, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 54-ს მიაღწია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2012 წლის მონაცემები ამჟამად დამუშავების პროცესშია.

შრომის უსაფრთხოებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციის შექმნის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის 1 ივლისს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახალხო დამცველისათვის მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა მთელი რიგი კანონპროექტები: „დასაქმების შესახებ“, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ და „შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ“. ასევე, დასრულებულია მუშაობა შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენის ზედამხედველობის განმახორციელებელი სახელმწიფო სამსახურის (ინსპექციის) დებულებაზე.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა და პარლამენტი დროულად უზრუნველყოფს როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისთვის ადეკვატური საკანონმდებლო გარანტიების შექმნას.

14. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და უფლება საცხოვრისზე

ისევე, როგორც გასული წლების განმავლობაში, მიმდინარე წელსაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო თავშესაფრის ან სათანადო საცხოვრებელი პირობების უქონლობის თაობაზე მიღებული განცხადებების რაოდენობა. განცხადებების შესწავლამ აჩვენა, რომ პრობლემა სისტემურია. სახელმწიფოში დღემდე არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა, მიუხედავად იმისა, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, აღნიშნული ვალდებულება პირველადად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ხოლო შემდეგ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკისრება. საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს უსახლკარო პირთა უფლებების დაცვისათვის სრულყოფილი სამართლებრივი გარანტიები, ხოლო ცალკეული მუხლების

სახით არსებული ჩანაწერები ზოგადი შინაარსისაა და პრაქტიკაში არ არის რეალიზებული. ერთ–ერთ მთავარ პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა მიზნობრივი დახმარებისათვის როგორც ადგილობრივ, ასევე, ცენტრალურ ბიუჯეტში გამოყოფილი ფინანსური სახსრების ნაკლებობა.

2013 წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გათვალისწინებული საარსებო შემწეობით სარგებლობასთან დაკავშირებული განცხადებების რაოდენობა. განცხადებების შესწავლის შედეგად, გამოვლენილ იქნა არაერთი შემთხვევა, როდესაც სოციალური აგენტის მიერ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეფასების შედეგად, ოჯახმა ვერ მოიპოვა სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლება. აღნიშნული შემთხვევები, უმეტესად გამოწვეულია იმით, რომ ოჯახის კეთილდღეობის მაჩვენებელი მთელი რიგი მონაცემების შევსება სოციალური აგენტის სუბიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული. ამდენად, აუცილებელია სუბიექტური შეფასების კრიტერიუმები მაქსიმალურად ჩანაცვლდეს ობიექტური შეფასების კრიტერიუმებით.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად რჩება პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიტების უსახლკარო პირთათვის ხელმიუწვდომლობა. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, სოციალური აგენტი აფასებს პოტენციური ბენეფიციარის საცხოვრებელ სახლს, მაშინ, როდესაც უსახლკარო ადამიანები, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს დახმარებას სახელმწიფოსგან, თავშესაფრის გარეშე არიან დარჩენილნი.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილია, რომ ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა. იმედს გამოვთქვამთ, რომ მუშაობის შედეგები უახლოეს მომავალში საკანონმდებლო დონეზე აისახება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სრულყოფას და საჭიროების მქონე პირების სოციალური დახმარებებით ეფექტურ უზრუნველყოფას.

15. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

2013 წელი საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადდა. გარდა ამისა, მიმდინარე წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით გაიზარდა ქვეყნის სოციალური პროგრამების ბიუჯეტი და შესაბამისად, ბენეფიციართა მოცულობა.

2013 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ ნაწილი იყო დაზღვეული, რაც გარკვეულწილად დისკრიმინაციული სელექციის ნიშნებს ატარებდა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლით ნაწილობრივ აღმოიფხვრა არსებული ხარვეზი. თუმცა, ბიუჯეტის ზრდისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაზღვევის მიუხედავად, აღნიშნულ პროგრამებში არ არის გათვალისწინებული შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებები.

მიმდინარე წელს, საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რამდენიმე სიახლე დანერგა მხედველობის შეზღუდვის, სმენისა და მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანია ამ პირთა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა, რისი მიღწევაც შესაძლებელია ინკლუზიურ საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებში ამ პირთა ჩართვით. მისასალმებელია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით 2013 წელს გატარებული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ბევრი პრობლემა კვლავ საჭიროებს დაუყოვნებლად მოგვარებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები შშმ პირებისთვის, სერიოზულ პრობლემად რჩება ინფორმაციის ნაკლებობა არსებული სოციალური, სამედიცინო და სხვა სახის პროგრამების შესახებ.

დღემდე გადაუჭრელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის მეტად მნიშვნელოვანი – გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტში წარდგენილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენცია, დღემდე მისი რატიფიცირება არ მომხდარა.

16. დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

მიმდინარე წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე მომუშავე კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი საქართველოს სახალხო დამცველია. კომისიამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ბევრად უფრო ახლოს დგას დევნილთა უფლებების განმსაზღვრელ საერთაშორისო სტანდარტებთან, ვიდრე დღეს მოქმედი კანონი „საქართველოს ოკ-

უპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“. სხვადასხვა ცვლილებებთან ერთად, კანონპროექტის მიხედვით იცვლება დევნილის სტატუსის განსაზღვრა და ოკუპაციის გარდა, პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების ერთ–ერთ კრიტერიუმს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევაც წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „ადმინისტრაციულ საზღვართან“ მდებარე სოფლების მოსახლეობისთვის, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვერ ღებულობენ დევნილის სტატუსს.

2013 წლის პირველ აგვისტოს საქართველოს მასშტაბით დაიწყო დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზანს დევნილთა მაქსიმალურად ზუსტი რაოდენობის დადგენა, მათი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განსაზღვრა და შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს. რეგისტრაციის პროცესზე ზედამხედველობას, სამინისტროსთან შეთანხმებით და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახალხო დამცველიც ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად.

2013 წელს, ასევე, დაიწყო დევნილთათვის ბინების განაწილების პროცესი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. განაწილების პროცესი ხდება დევნილთა სააპლიკაციო განაცხადის ქულების საფუძველზე, რაც შესაძლებლობას იძლევა საცხოვრებელი ფართები გადაეცეთ დევნილთა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული წინსვლებისა, დღემდე უმძიმეს პრობლემად რჩება დევნილთა უდიდესი ნაწილის საცხოვრებელი პირობები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ზოგიერთ კოლექტიურ ცენტრში ცხოვრება დევნილთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია. გარდა ცუდი საცხოვრებელი პირობებისა, დევნილთა დიდი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები უკიდურესად მძიმეა.

სიტუაცია, ასევე, გართულებულია ე.წ. „ადმინისტრაციული საზღვრის“ მიმდებარე სოფლებში, ოკუპაციის საზღვარზე მავთულხლართების გაბმის პროცესის შედეგად. მოსახლეობას ექმნება პრობლემები სასოფლო-სამეურნო მიწების გამოყენებასთან დაკავშირებით.

17. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირები – ეკომიგრანტები

საქართველოში ამჟამად რეგისტრირებულია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 35 204 ოჯახი. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2013 წელს გამოცემული სპეციალური ანგარიში დეტალურად მიმოიხილავს ეკომიგრანტებთან დაკავშირებულ როგორც საკანონმდებლო ხარვეზებს, ასევე, პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს. საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე არსებითი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლად რეაგირებას საჭიროებს.

სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ადეკვატური დაცვის რეალიზაციისათვის, არსებული სამართლებრივი რეგულაცია ძალიან ზოგადი, მწირი და არადამაკმაყოფილებელია. არ არსებობს სამართლებრივი ბაზა, რომელშიც მოცემული იქნება ეკომიგრანტის დეფინიცია და ის ვალდებულებები, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს ამ კატეგორიის პირთა სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, არ არსებობს მუდმივად განახლებადი, ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რის გამოც შეუძლებელია ეკომიგრანტთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა; სახელმწიფოს მიერ არ ხორციელდება ის პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ეკომიგრანტის განსახლებულ პუნქტში ადაპტაცია და რეგიონში დამკვიდრება; არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა განსახლებული ოჯახების ცხოვრებისათვის ადეკვატური სოციალური პირობების შესაქმნელად.

2009 წლიდან ეკომიგრანტთა განსახლებისათვის გამოყოფილია მიზერული თანხები, რაც შეუძლებელს ხდის ამ მიმართულებით ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვასა და ქმედებების განხორციელებას.

ამჟამად, არც ერთ ეკომიგრანტს, სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემული სახლები საკუთრებაში არ აქვს. გამონაკლისს წარმოადგენენ 1987–89 წლების სტიქიური მოვლენების შედეგად აჭარიდან და სვანეთიდან განსახლებული პირები.

სახალხო დამცველი მიესალმება განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ კანონმდებლობის შემუშავების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციალური კომისიის შექმნას, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ კომისიას ამ ეტაპამდე ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს. საქართველოს სახალხო დამცველი გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეკომიგრანტთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პროცესში და იმედოვნებს, რომ ოპტიმალურ ვადაში შეიქმნება ეკომიგრანტთა სამართლებრივი სტატუსისა და სოციალური გარანტიების განმსაზღვრელი კანონმდებლობა.

18. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

2005 წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის თვალსაზრისით, რაც გულისხმობდა ბავშვთა დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებების გაუქმებას და ყველა ბავშვისათვის მზრუნველ ოჯახურ გარემოში აღზრდის შესაძლებლობას. დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფო მმართველობაში მხოლოდ 3 დიდი ზომის ინსტიტუტია,

მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 2009 წელს 41 იყო. შედეგად, ასეთ სახლებში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა 4600-დან 109-მდე შემცირდა. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შედეგად ბავშვები დაუბრუნდნენ ბიოლოგიურ ოჯახებს ან გადავიდნენ ალტერნატიულ მზრუნველობაში, კერძოდ, მინდობით აღზრდაში და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.

მისასალმებელია, რომ 2013 წელს ევროკავშირის დაფინანსებით შეიქმნება ქმედითი სახელმწიფო მექანიზმი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დასახმარებლად. ინიციატივის ფარგლებში მოხდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა იდენტიფიცირება და მათი კონკრეტულ პროგრამებში ჩართვა, თუმცა დადებითი ტენდენციების პარალელურად, ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, კვლავ აუცილებელია სისტემური და შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება. 2013 წლის ივლისში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, „ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები. მოსახლეობის დიდ უმეტესობას, მათ შორის პროფესიონალებს – მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებს და პოლიციელებს – სჯერათ, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახს ეხება და გარეშე პირები ამაში არ უნდა ჩაერიონ“.

აღსანიშნავია, რომ „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, პარლამენტმა ეს ანგარიში მიიღო, როგორც „უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი ინფორმაცია 2012 წელს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის თაობაზე“, მათ შორის, ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა: ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებს; ბავშვთა სიღარიბეს; საჯარო სკოლებში, ბავშვთა საჭიროებების ინდივიდუალური გათვალისწინებით, განათლების ხელმისაწვდომობას და ასევე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს. საქართველოს სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ საქართველოს ხელისუფლება გადადგამს ქმედით ნაბიჯებს ანგარიშში აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

გარდა ამისა, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი I და II ფაკულტატიური ოქმების შესრულების ზედამხედველობისა და კონვენციით განმტკიცებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით ბავშვთა მიმართვიანობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია საქართველო გახდეს მესამე დამატებითი ოქმის „შეტყობინებების პროცედურის შესახებ“ მონაწილე სახელმწიფო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა დაიწყოს სათანადო პროცედურები აღნიშნული ოქმის რატიფიცირებისათვის.

19. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

გენდერული თანასწორობის მთავარ გამოწვევად რჩება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 11 %, მინისტრთა კაბინეტში 21 %, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 10 %–ია. 2013 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მონაცემებით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობით 97-ე პოზიციას იკავებს 136 ქვეყნის მონაცემთა შორის.

2013 წელს საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა გაითვალისწინა პარტიისათვის დაფინანსებაზე 30%-ის ოდენობით დანამატის გამოყოფა, თუ პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით იქნებოდა წარმოდგენილი.

გენდერული მეინსტრიმინგისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩევლის პოზიციის შემოღება ინსტიტუციონალურ დონეზე. 2013 წელს დაინიშნა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ასევე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველი გენდერის საკითხებში. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩეველთა დანიშვნაც, რაც ხელს შეუწყობს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისას გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინებას.

სამწუხაროდ, 2013 წლის მდგომარეობით, ქალთა ეკონომიკური აქტივობა და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ისევ დაბალი რჩება. ,,გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მონაცემებით, საქართველო 64-ე ადგილს იკავებს 136 ქვეყანას შორის. კვლავ დაბალია ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ქვეყანა 126-ე პოზიციაზეა. აღნიშნული გარემოს ფონზე სულ უფრო მძიმეა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების.

მისასალმებელია ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ მიმართული საკანონმდებლო

ინიციატივები. მათ შორის, 2013 წლის 27 სექტემბერს, შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ბავშვის მოვლის გამო შვებულება გაიზარდა 477-დან 730 კალენდარულ დღემდე, აქედან ანაზღაურებადი შვებულება, ნაცვლად 126 დღისა, იქნება 183 კალენდარული დღე; ასევე, გაიზარდა ანაზღაურებადი შვებულების დროის თანხის ოდენობაც: 126 დღეში 600 ლარის ნაცვლად ანაზღაურდება 183 დღე 1000 ლარის ოდენობით.

მიმდინარეობს შრომის კოდექსის ცვლილებების მეორე ტალღის – ქალთა შრომითი უფლებები – პროცესი იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომელიც ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობითა და კოორდინაციით. თუმცა, კვლავ რჩება მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა მოუწესრიგებლობა ქალთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას დაბრკოლებას უქმნის.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო იღებდეს ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყოს, რომ საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ასევე, ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას. მარტოხელობის შემთხვევაში კი შესაბამისი სტატუსითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

პრობლემას წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის რეკომენდაციის შესრულება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ამ რეკომენდაციის მიხედვით კომიტეტი ითხოვს გენდერული საკითხის გათვალისწინებას სიღარიბის აღმოფხვრის ყველა სახელმწიფო პროგრამასა და სტრატეგიაში და განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას ქალთა დაუცველ ჯგუფებზე, *inter alia* მარტოხელა და ოჯახის მარჩენალ ქალებზე.

20. სექსუალურ უმცირესობათა უფლებრივი მდგომარეობა

გამოწვევად რჩება ჰომოფობიური დამოკიდებულება სექსუალურ უმცირესობათა მიმართ. 2013 წელს გახშირდა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები და სხვა შემთხვევები ლგბტ თემის წარმომადგენელთა და მათი უფლების დამცველი ორგანიზაციების მიმართ.

17 მაისს, არასამთავრობო ორგანიზაცია "იდენტობის" მიერ ორგანიზებული აქციის დარბევით ერთი მხრივ, ლგბტ და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება ესარგებლათ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული შეკრების თავისუფლებით, ხოლო მეორე მხრივ, მათ წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა სიძულვილით განპირობებულ ფიზიკურ ძალადობას. საქართველოს სახალხო დამცველისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 17 მაისის თანმდევი მოვლენები, კერძოდ, მომდევნო დღეებში განხორციელებული ძალადობა ლგბტ თემის წარმომადგენელი და უფლებადამცველი პირების მიმართ, რომელიც დღემდე გრძელდება და სხვადასხვა ფორმით პოულობს გამოხატულებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, მნიშვნელოვანია მოხდეს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევების დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებული გამოძიება; გაძლიერდეს საზოგადოებასთან მუშაობა არსებული ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთისა და პრევენციისათვის.

21. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის ყურადღების ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა ქვეყნის მასშტაბით გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ამჟამად სწავლობს მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში დაგეგმილი ხუდონის და აჭარაში, შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის კანონიერების, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების სავარაუდო დარღვევის საკითხებს.

სახალხო დამცველის პირველადი შეფასებით, არსებობს საფუძვლიანი კითხვები ხუდონის ჰესის მშენებლობისათვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე დასრულებული სახით არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოებაც კი არ არის დაწყებული. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან კეთდება საჯარო განცხადებები ჰესის აშენების გარდაუვალობის თაობაზე. არსებითია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ამ ეტაპამდე ვერ მოიპოვა ადგილობრივი მოსახლეობის განსახლების გეგმა და საკუთრების კომპენსაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

აღნიშნული საკითხების დეტალური ანალიზი ასახული იქნება სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

ევროკავშირი

სახალხო დამცველის აპარატი

გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.